# ცნობის ფურცელი

№ 2497 კვირა, 16 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2497

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე-ბით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„М..амбе“. ტელეფონი № 372.

დღესასწაულებისა გამო შემდეგი №-რი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა ოთხშაბათს, 19 მაისს. ამ ორს დღეში დაიბეჭდება და ხელის მომწერლებს დაურიგდება მხოლოდ დეპეშები.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ საზოგადოების დაარსებიდან 25 წლის შესრულებისა გამო კვირას, 16 მაისს, შუადღის 12 საათზე ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი საზოგადოების უკვე გარდაცვალებულ დამფუძნებელთა და წევრთა სულის მოსახსენებლად. (უ. 1—1)

14 მაისს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## იოსებ ზოსიმეს ძე ბაქრაძე,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა განსვენებულისა **ეკატირინე სვიმონის ასული** და მეუღლე **ელისაბედ ანტონის ასული** შვილებითურთ.

მიცვალებულს გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (ალექსანდროვის ქუჩა, სახ. № 74) ორშაბათს, 17 მაისს, დილის ცხრა საათზე, წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში და დაკრძალვენ კუკიის სასაფლაოზე. (2—2)

12 მაისს გარდაიცვალა

## მირონ ივანეს ძე კერესელიძე,

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ქვრივი **ბარბარე კერესელიძისა**, შვილი **ნინო** და სიძე **გრიგოლ კორძაია**. გარდაცვალებულს გაასვენებენ 17 მაისს, დილის 9 საათზე, საკუთარის სახლიდან, წყნეთის ქ. № 19. დაკრძალულ იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—207—2)

## ლადო აღნიაშვილის

ორმოცის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება დღეს, 16 მაისს, ქვაშვეთის ეკლესიაში.

Feriencolonien. Colonie des vacances.

## „პატარა-ცემი“-ს
## საზაფხულო სამყოფი
ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა
## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ხედ ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭამბის ცრებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჩლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

**ხანა:** ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოოზის ქ. № 46. (0—9)

### ტფილისის
## კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

### დილით:

**დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.**—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

**მ. ტ. მუღინი.**—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

**ა. ი. ბალაჯრიშვილი.**—ბავშვებისა. 9—10 ს.

**არ. ვ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

**პ. ა. ბეიერი.**—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საშვებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

**დ. მ. მონინი.**—ქალისა, საშვებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

**ნ. ტყეშელაშვილი.**—კბილისა, 9—11 საათამდე.

### საღამოთი:

**ბ. ვ. ხოზოლევსკი.**—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან [illegible]მდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

### მკურნალი
## მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

### ქუთაისში
## კბილის ექიმი ნ. ა. დემიდოვი

(აბორინის შესახვევი, საკუთარი სახლი)

მიიღებს ყოველ დღე. პლომბის გაკეთება და კბილების ჩასმა. (30—140—12

### ექიმი
## ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—87)

### კბილის ექიმი
## ი. პ. ახალშენიშვილი

(ელიზბედის ქუჩა, № 88).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე. და საღამოობით 5—7-მდე.

### ქუთაისში
### კბილის ექიმი
## დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—253—32(

### ქუთაისში
## ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—7)

### ექიმი
## ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე. გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

### ბავშვების ექიმი
## ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—13)

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად**

## მიწა

კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფორაქოვთან. (10—2)

## რუსეთ-იაპონიის ომი

### დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 მაისი

**პეტერბურგი.** გენერალ ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მის უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი 13 მაისს 1904 წ.: „12 მაისს მომხდარმა დაზვერამ აღმოაჩინა ფინხუანჩენის მხარეს, რომ ლიაოიანის უმთავრეს გზაზე იაპონელთა მოწინავე რაზმი იჭერს თხუმენძის უღელტეხილს და მახლობელ სოფელ სიაოდიანდიანს. სოფლებში, რომლებიც ლიაოიანის გზას აკრავენ, ტოხუმენძისა და სელიუჯანოვ-ჩანზალინს შუა, დაყენებულია პატარა რაზმები. უღელტეხილი გამაგრებულია. უფრო ძლიერი ჯარი აღმოაჩინეს სელიუჯანსა და დალიანდაპუზასთან, საიდანაც ხაიჩენის გზა მიდის. 8 მაისს შეამჩნიეს იაპონელების პატარა რაზმების მოძრაობა დალიანდაპუზადან ხაიჩენის გზაზე; ამ ჯარებმა თავი მოიყარეს ჩანდაგოუში, დალიანდაპუზიდან 14 ვერსის მანძილზე. ხმა დადის, რომ იაპონელებმა ისევ დაიჭირეს უღელტეხილი სინხაილინი. 7 მაისს ჩვენ მზვერავ რაზმს ხაიჩენის გზაზე შეტაკება ჰქონდა მტრის სადარაჯო რაზმთან, რომლის დროსაც დაიჭრა ერთი ყაზახი. 11 მაისს მზვერავმა რაზმებმა ნამდვილად შეიტყეს, რომ იაპონელთა ჯარები მიდიან ხაბალინიდან მდინარე დაიანხეს გაყოლებაზე, და აღმოაჩინეს იაპონელთა 3 როტა, რომლებიც ბანაკად იდგნენ. იაპონელებმა სროლა ასტეხეს. ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის სამხრეთ მხარეს იაპონელთა მოწინავე რაზმები 11 მაისს იდგნენ სოფელ ჩენსანშილიპუსა და სანდიაძიდან 14 ვერსის მანძილზე, ფუჯოუს მახლობლად, რკინის გზის ლიანდაგთან, სადგურ ვაფანდიანის სამხრეთით, 8 ვერსის მანძილზე და უფრო შორს სოფ. სიადიატუნამდის, ვაფანდიანიდან 17 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთის მხარეს, ბიძოვიდან სენიუჩენში მიმავალ გზაზე. ბიძოვოში და სიახოუკოუვეიზისთან იაპონელებს განუწყვეტლივ გადაჰყავთ ნაპირზე ჯარები და სურსათი. სიაოხოუკოუვეიზიში ძლიერი მეციხოვნე ჯარია. იმ ცნობებით, რომელთაც დამტკიცება სჭირდება, აქამდის სულ 18 ათასი იაპონელი გადმოუსხავთ დაგუშანთან; გადმოუტანიათ აგრეთვე რამდენიმე დიდი ზარბაზანი, რომლებშიაც 18 ცხენს აბმენ. ხმებია, რომ იაპონელთა ჯარში კორეელი ჯარის-კაცნიც არიანო. ხაბალინის მხრიდან იუწყებიან, რომ იაპონელთა ჯარები განაგრძობენ მოძრაობას დაგუშანის გზაზე. სალაიძაპუზაში, ხაბალინს ახლოს, სიმაგრეებს აშენებენ.“

**ტოკიო.** 14 მაისი („რეიტ. სააგენტო“). სასტიკის ბრძოლის შემდეგ, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, იაპონელებმა გუშინ საღამოს აიღეს ციხე ცინჯოუ, მერე, ისევ ცხარე ბრძოლის შემდეგ, იაპონელებმა აიღეს რუსების მიერ ძალიან გამაგრებული პოზიცია ცინგაუნჯანი. ზარბაზნების სროლა ჯერაც არ შეწყვეტილა. რუსთა საკანონირო გემი ტალიენვანის ბუხტიდან ესროდა ზარბაზნებს იაპონიის ჯარის მარცხენა ფრთეს; იაპონიის სამხედრო გემები-კი იაპონელებს შველოდნენ ცინჯოუს ბუხტიდან.

**ფუზანი.** 14 მაისი („რეიტ. სააგ.“). ყაზახები განუწყვეტლივ ზვერავენ ადგილებს. ფინხუანჩენიდან 10—15 მილის მანძილზე, სამხრეთ-დასავლეთით, ყაზახებს რამდენჯერმე მოუხდათ შეტაკება იაპონელებთან.

**ტოკიო.** („რეიტ. სააგენტო“). ოფიციალური ცნობა. იაპონელთა იმ ჯარის ერთმა ნაწილმა, რომელიც დღემდის ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე გადმოსხდა, 13 მაისს გათენებისას იერიში მიიტანა რუსების ძლიერს ციხეზე ცინჯოუზე. ხანგრძლივისა და ცხარე ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა უკან დასწიეს რუსები და დაიჭირეს იმათ მიერ დატოვებული პოზიცია. რუსებმა პორტ-არტურისაკენ დაიწიეს.

(დამის დეპეშები იხილე მე-3 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ომის ამბები.** „ნოვოე ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: დიდ-ოკეანეს ფლოტის უფროსს ადმირალ სკრიდლოვს სადგურ ოკეანსკიაზე ვლადივოსტოკის კომენდანტი გენერალ-მაიორი ვორონეცი, აქაურ ჯარის შტაბის უფროსი და უსურიის რკინის გზის უფროსი მიეგებნენ. ნაშუადღევს $4^1/_2$ საათზე ადმირალი ვლადივოსტოკში მოვიდა, სადგურზე მეზღვაური და ქვეითა ჯარის აფიცრები და დიდ-ძალი ხალხი მიეგება. ვაგზლიდან ადმირალი ეტლით ნავთ-სადგურში წავიდა და იქიდან ნავით კრეისერ „როსია“-ზე. კრეისერზე პარაკლისი გადაიხადეს და შემდეგ ფლოტის უფროსის ბაირაღი გაშალეს. ამის შემდეგ ადმირალმა აფიცრებსა და მატროსებს სიტყვით მიჰმართა. ხალხი ყველანი დიდის სიხარულით ეგებება თავის ძველს ნაცნობს ადმირალ სკრიდლოვს.

ვლადივოსტოკში 9 მაისს დიდის ოკეანის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი სკრიდლოვი, პორტ-არტურის ესკადრის უფროსი ვიცე-ადმირალი ბეზობრაზოვი და ამათის შტაბის აფიცრები მოვიდნენ. ვლადივოსტოკის ნავთ-სადგურის უფროსი კონტრ-ადმირალი გაუფტი, ვლადივოსტოკის ესკადრის უფროსი კონტრ-ადმირალი იესენი და სხვა უფროსი მოხელეები ვაგზალზე მიეგებნენ ფლოტის უფროსს. („რ. ლ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს ატყობინებენ: ვლადივოსტოკსა და გენზანს შუა იაპონიის კრეისერები დადიან, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვლადივოსტოკთან არ მოსულანო.

ფრანგულ გაზ. „პატრი“-ს ლონდონელი კორესპონდენტი სწერს: იაპონელებმა პორტ-არტურს ყველა გზა შეუკრეს და ალყა შემოარტყეს. ეს დიდი გამარჯვებაა. ლონდონში დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონელები, რამწამს დიდი საალყე ზარბაზნები მოუვათ, მაშინვე იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზეო. როცა ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, 10 წლის წინად, იაპონელებმა პორტ-არტური აიღეს, სულ ოთხი—12-დიუიმიანი ზარბაზანი ჰქონდათ, თორმეტი—9-დიუიმიანი, რვა—15-სანტიმეტრიანი მორტირა და ექვსი 9-სანტიმეტრიანი მორტირა. ტალიენვანში ჩინელებს 6 ფორტი (სიმაგრე) ჰქონდათ აშენებული და კრუპისა და კრეზოს ზარბაზნები ეწყოთ, პორტ-არტურიც კარგად ჰქონდათ ჩინელებს გამაგრებული. მაგრამ მაინც იაპონელებმა მეტად მალე აიღეს პორტ-არტური. 1894 წელს იაპონელები სულ ერთ თვემდე მოუნდნენ პორტ-არტურის აღებას. ვნახოთ, ეხლა რამდენ ხანს მოუნდებიან. („პ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ქალ. დალნის აშენება რუსებს 20 მილიონი მანეთი დაუჯდა და ეხლა-კი იქნება ეს ქალაქი თავიანთ ხელითვე დანგრიონო.

„ჩიკაგო დეილი ნიუს“-ი იუწყება: იაპონელებმა პორტ-არტურს ახლო ბევრი ნაღმები ჩააწყეს, რომ რუსის გემები დალნიში ვეღარ წავიდნენ და იაპონიის ჯარი არ შეაწუხონო. („რ. ლ.“).

„სტანდარდ“-ი იუწყება: ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა რკინის გზა სადგურ დაშიცაომდე ჩაიგდეს ხელშიო. რუსებს ინკოუში მხოლოდ პატარა რაზმი-ღა ჰყავთ. კანო-

ნირი ნავი „სივუჩ“-ი შეშითა და ნავთით გაავსეს, რომ, თუ საჭირო იქნება, ხელად დასწვან. მდ. ლიაოხეს შესართავში ჯერ ისევ ნაღმები აწყვია. („რ. ლ.“).

„დეილი ქრონიკლ“-ის კორესპონდენტს იაპონიის პირველ არმიის შტაბის უფროსთან გენერალ ფუჯისთან უსაუბრნია. გენ. ფუჯის უთქვამს: რუსები მეტად მამაცად იბრძვიან, მაგრამ უვარგისი ტაქტიკა აქვთ, არც სიმაგრეების აშენება სცოდნიათ კარგი. რუსები დიდხანს ემზადებოდნენ საბრძოლველად, მაგრამ მაინც კარგი სანგრები ვერ გამართეს. იმათი სანგრები მეტად ცუდად იყო აშენებული. რუსის მთავარი შტაბი სულ ვერ მიჰხვდა ჩვენს პლანს და ვერ გაიგო, რა ადგილას ვაპირობდით მდ. იალუზე გადასვლას. 17 აპრილს იალუს გაღმა მხოლოდ იაპონელების ერთი დივიზია იყო გადასული, ასე რომ ჩვენი ჯარი ორად გაიყო. რუსებს ადვილად შეეძლოთ გაღმა გასულ დივიზიას დაჰხვევოდნენ და დაემარცხებინათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. („პ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო თანამშრომელი გრაფი რევენტლოვი სწერს: იაპონელებმა ლიაოდუნზე და სამხრეთ მანჯურიაში მეტად მნიშვნელოვანი ადგილები დაიჭირეს. ნიუ-ჩუანს ახლო გაიჩჟოუსთანაც 20 ათასი კაცი გადაიყვანეს, გენ. კუროკის არმია წინანდებურად ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მიდის; ამავე დროს მეორე არმიის ნაწილი დასავლეთისაკენ მიდის. ამ ორსავე არმიას 180 ათას კაცამდე ეყოლებათ“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: რუსის ჯარს თან-და-თან მეტი დაბრკოლება და მტერი უჩნდება, ხუნხუზები უფრო და უფრო აწუხებენ და მოსვენებას არ აძლევენ რუსის ჯარს. ადგილობრივი მცხოვრებლებიც ხელს უწყობენ და დახმარებას უწევენ ხუნხუზების მოქმედებას. („პ. ვ.“).

„ტაიმსი“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: რაც უნდა აძაგონ დიდი ჯავშნიანი გემები და რაც უნდა აქონ პატარა ნაღმიანი გემები, მაინც ზღვაში ბატონობა ვისაც უნდა, უსათუოდ დიდი ჯავშნიანი გემებიც უნდა ჰყავდეს. იაპონელები მარტო ნაღმიან გემებით ვერას გახდებოდნენ; ჯავშნიანი გემები რომ არა ჰყოლოდათ, ერთს კაცსაც ვერ გადაიყვანდნენ ხმელეთზე. იაპონიის ფლოტი უმთავრესად ჯავშნიან გემებით სჯობნის რუსის ფლოტს. ნაღმიანი გემები უჯავშნიან გემოდ ვერას გაჰხდებიან. („ბ. ვ.“).

„პეტ. ვედომოსტი“-ს დეპეშით ატყობინებენ ირკუტსკიდან: მანჯურიაში მიმავალმა დერპტის პროფესორმა ცეგეფონ-მანტეიფელმა სთქვა, ამ ბოლოს დროს ხოლერის წინააღმდეგ კარგი ასაცრელი წამალი მოიგონეს; იაპონელებმა ეს წამალი მთელ კორპუს ჯარს აუცრეს. (ეს კორპუსი მანჯურიაში გაიგზავნა). პროფესორის აზრით, ეს წამალი უებარია; ვინც აიცრის, ხოლერა აღარ შეჰხვდება.

**რუსეთისა და იაპონიის ფლოტი დიდ ოკეანეში.** „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. ვ. მ. სწერს: „იაპონიის ფლოტის დიდმა ზარალმა, ეტყობა, ვერ შეარყია ადმირალ ტოგოს მხნეობა. 2 მაისს შემდეგ იაპონიის ფლოტმა კიდევ ბევრი საქმე გაარიგა: 3 მაისს სენიუჩენს (გაიჩჟოუს ქვემოდ) ზარბაზანი დაუშინა, 3 და 4 მაისს ცინჩჟოუს ბუხტას დაუშინა ზარბაზანი, 7 მაისს ნაღმიანმა და კანონირმა გემებმა პორტ არტურის რეიდი დაზვერეს, 6 მაისს დაგუშანს ახლო ჯარი გადაიყვანეს და სხვ. იაპონიის ფლოტი იმიტომ იჩენს ასეთს დიდს მხნეობას, რომ 2 მაისის შემდეგაც ადმირალ ტოგოს ესკადრა გაცილებით ძლიერია რუსის ესკადრაზე. იაპონელებს ამ ჟამად დიდ ოკეანეში სულ 1!! დიდი ჯავშნიანი გემი და კრეისერი ჰყავთ, რუსებს—10, ამ გემებზე იაპონელებს 289 დიდი ზარბაზანი უწყვიათ, რუსებს—155. როცა იაპონელებისა და რუსების ამ ჟამად დაზიანებული გემებიც შეკეთდება, იაპონელებს ეყოლებათ: 20 დიდი ჯავშნიანი გემი და კრეისერი, რუსებს 14, იაპონელებს—303 დიდი ზარბაზანი ექნებათ, რუსებს—210. ამას გარდა იაპონელებს სამი სხვა პატარა კრეისერი ჰყავთ და 14 სხვა მძიმე ზარბაზანი აქვთ. ასე რომ სინამ ბალტიის ესკადრა არ ჩავა დიდ ოკეანეში, რუსის ფლოტი იაპონიის ფლოტზე სუსტი იქნება“.

**„ხაცუზე“-ს დაღუპვა.** გაზეთები დღესაც ბევრსა სწერენ იაპონელების გემ „ხაცუზე“-ს დაღუპვაზე. ზოგიერთი გერმანელი სამხედრო მწერალი ჰფიქრობს, რუსებმა „ხაცუზე“-ს განგებ წინადვე ჩაუწყეს ნაღმები, ისე როგორც იაპონელებმა გემ „პეტროპავლოვსკ“-საო, „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ვ. მ. არ ეთანხმება ამ აზრს და წინანდებურად ამტკიცებს, „ხაცუზე“-ს დაღუპვა უბედურ შემთხვევის ბრალიაო. ბ-ნი ვ. მ. სწერს: „ცხადია, რომ „ხაცუზე“ მცურავ ნაღმისაგან დაიღუპა. ზოგიერთი გერმანული გაზეთი ამტკიცებს, ვითომ რუსის მეზღვაურებს შეესწავლოთ ის ადგილი, სადაც იაპონიის ესკადრა დგებოდა, და წინადვე განგებ ნაღმები ჩაეწყოთ. გაშლილ ზღვაში, 9-10 მილის მანძილზე ნაპირიდან, ესკადრა ყოველთვის ერთ ადგილას როდი დგება,—სადაც დაჰხედავს და ამჯობინებს იქ დადგება ხოლმე. სულ სხვაა პორტ-არტურის გარე რეიდი, სადაც რუსის ესკადრა თითქმის ერთსა და იმავ ადგილას უნდა დამდგარიყო ყოველ ბრძოლის დროს. ამიტომ ამ ადგილის შესწავლა და იქ ნაღმების ჩაწყობა უფრო ადვილი იყო. რუსებმა მცურავი ნაღმები 2—9 აპრილს პორტ არტურის გარე რეიდზე ჩააწყეს: იმ ადგილას-კი, სადაც „ხაცუზე“ ჩაიძირა და სადაც ზღვას 200-250 ფუტის სიღრმე აქვს, მცურავ ნაღმების ჩაწყობა შეუძლებელია. ცხადია, ტალღამ ნაღმები მოჰგლიჯა გარე რეიდიდან და 8-9 მილის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს გაიტანა გაშლილ ზღვაში. 2 მაისს „ხაცუზე“ ამ ნაღმებს წააწყდა და ჩაიძირა.

„დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი იუწყება: ჯავშნიანი გემი „ხაცუზე“ გაშლილ ზღვაში პორტ-არტურიდან 10 მილის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ნაღმს მოჰხვდა და მაშინვე სიგნალი მისცა, მიშველეთო. ამ დროს გემ ქვეშ მეორე ნაღმმა იფეთქა; „ხაცუზე“ მაინც ნელ-ნელა იძირებოდა და იაპონელებს რომ ახლო-მახლო სადმე ნავთ-სადგური ჰქონოდათ, „ხაცუზე“-ს უსათუოდ დაღუპვას გადაარჩენდნენ. „ხაცუზე“-ზე უფრო ბევრი მეზღვაური გადარჩებოდა სიკვდილს, რომ მოენდომნათ, მაგრამ მეზღვაურები უკანასკნელ წუთამდე გემის გადარჩენას ცდილობდნენ, თავიანთ თავზე სულაც არ უფიქრიათ:—ყველას ესმოდა, რომ „ხაცუზე“-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეხლანდელ ომში. („რ. ლ.“).

„დეილი ნიუს“-ი იუწყება: „ხაცუზე“-ს დაღუპვის შემდეგ, იაპონიის საზღვაო შტაბი სამხედრო გემების უფროსების გამოცვლას აპირობს. ჯავშნიან გემებისა და კრეისერების უფროსებად ამას იქით მხოლოდ იმ აფიცრებს დაჰნიშნავენ, ვისაც ნაღმის საქმე სპეციალურად შეუსწავლიათ, ამას გარდა, ყოველ ჯავშნიან გემზე ოთხ აფიცერს დაჰნიშნავენ და კრეისერზე ორს. ეს აფიცრები გემზე იდარაჯებენ და თვალ-ყურს ადევნებენ, რომ გემი ნაღმს არ წააწყდეს. ამბობენ, თუ ბეჯითად თვალი ადევნეს, ნაღმს ყოველთვის წინადვე შეამჩნევენ მეზღვაურებიო. ამას გარდა ჩვეულებრივი მოდარაჯე აფიცრებიც ისევ იქნებიან. („რ. ლ.“).

# ახალი ამბავი

◆ გუშინ საღამოს, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით მოხდა კრება **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“** წევრთა. კრებამ მოასწრო ანგარიშის, ხარჯთ-აღრიცხვის და ზოგიერთ მოხსენების განხილვა, არჩევნები-კი გადიდვა დღეს, 16 მაისისათვის.

◆ 12 ივნისისთვის დანიშნულია ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.** კრებამ უნდა გაანაწილოს ტფილისის საადგილ მამულო ბანკის წლევანდელი მოგება.

◆ როგორც ახლად გამოცემულ ინსტრუქციიდანა სჩანს, **სამრევლო-საეკლესიო სკოლების** საოლქო საბჭოს ექვემდებარებიან საეპარქიო სამოსწავლო საბჭოები ქართლ-კახეთისა, იმერეთისა, სოხუმისა და გურია-სამეგრელოსი. საეპარქიო საბჭოებს საოლქო საბჭოს დაუკითხავად ნება არა აქვთ დაამტკიცონ სკოლის მზრუნველები და საბჭოს სამაზრო განყოფილებათა წევრნი.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ნება დართო წყნეთის (ტფილისის მაზრა) სოფლის საზოგადოებას, სოფლის სათადარიგო **პურის მაღაზიიდან** ისესხოს 188 ფუთი და 20 გირვანქა ხორბალი, გაყიდოს და ფული თავის საჭიროებისათვის მოიხმაროს.

◆ ახლად დაარსებულ **მებაღე-მებოსტნეთა ამხანაგობის** კრება დანიშნულია დღეს, 16 მაისისთვის. კრება მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

◆ როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, **ნავთლუხის მცხოვრებნი** მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან ავლაბრიდან ნავთლუხამდე ცუდის გზის გამო. გუშინ გუბერნატორმა მისწერა ქალაქის გამგეობას, შემატყობინეთ, როდის იქნება შეკეთებული ნავთლუხამდე რკინის გზა და როდის იქნება გაყვანილი ცხენის რკინის გზაო.

◆ რადგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის ყარსის შტოზე რკინის გზის მოსამსახურეთა და მათ ოჯახებისათვის არ არსებობდა სასაფლაოები, სახელდობრ სადგურებ სანაინსა, ყალაგერანსა და შაგალიზე, რკინის გზის გამგეობამ ამ სადგურებთან აღნიშნა პლანზე რამდენიმე ნაჭერი მიწისა, გამოსადეგი სასაფლაოდ. ორი ნაჭერი ამ მიწისა სადგურებ სანაინსა და ყალაგერანზე შეტანილია რკინის გზის მიწებში, მესამე კი სადგურ შაგალიზეა შეტანილი. ეხლა რკინის გზის უფროსმა ბ. ივანოვსკიმ სთხოვა ტფილისის გუბერნატორს, ნება დაგვრთეთ ეს მიწის ნაჭრები სასაფლაოს საჭიროებისათვის ვაქციოთო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის სამმა წევრმა, საყასბოს აღმშენებელმა კომისიამ და ზოგიერთ ხმოსანთ 14 მაისს დაათვალიერეს

---

# ფელეტონი

## პატარა ამბები

ნაღვლიანი სიტყვა და ღრმა რწმენა.—
ერთი სასოწარკვეთილი წერილი.—„სოფლელი გლეხის“ შენიშვნის გამო.—წერა-
კითხვის საზოგადოებას.

უფრო გახშირდა ზარბაზნების სროლა, უფრო საშინლად ზუიან ყუმბარები. მაგრამ ამ ყუმბარების, ამ ბრძოლისა და მტრობის იქით მე მაინც უკეთესს მერმისს ვხედავ, ვხედავ ძმობას და კავშირს საკაცობრიო ასპარეზზე. დადუმდება ზარბაზნები, გაცივდება ყუმბარები და ჩვენ გავიგონებთ სხვა, ადამიანურს სიტყვებს. გათავდება ომი და ჩვენ დავინახავთ, რომ აზიის, ევროპის და სხვა ქვეყნის ერები ერთად ხელი-ხელ გაყრილნი შეუდგებიან მშვიდობიანად კულტურის განვითარებას. ისტორია დაივიწყებს ზარბაზნებს, მაგრამ არ დაივიწყებს იმ ადამიანობას, გულკეთილობას და შებრალებას, რომელსაც ვხედავთ დღესაც, ომიანობის დროსაც, რომელიც მოსჩანს თითქმის წამლის კოლოფშიც კი!..

მშვენიერი საფელეტონო საგანია, მაგრამ ამაზე ლაპარაკს არ გავაგრძელებ და ეს თუ მოვიგონე, მხოლოდ იმიტომ, რომ რაც უნდა ცუდს ამბებს ვხედავდეთ ჩვენს გარშემო, ჩვენს შინაურ ცხოვრებაშიც, არასოდეს არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთილებას, არ გადავიქნიოთ ხელი და არა ვსთქვათ: ყველაფერი გათავებულია, ყოველივე ცდა ამაოა! ოღონდ სული ჩვენი ნურასოდეს ნუ მოკვდება, ნუ გაიხრწნება, ნურასოდეს ნუ დაგვეკარგება თვით შეგნება, შეგნება იმისა, რაც კარგია, რაც ავია, რაც გვტანჯავს, რაც სულს გვიხუთავს! როდესაც საზიზღრობას ვხედავთ, ნუ ვიტყვით, რომ ეგ მშვენიერებაა, როდესაც სიძაგლობას ჩავდივართ, ნუ მოვატყუედებთ, ნუ დავარწმუნებთ ჩვენს თავს, რომ კეთილშობილურად ვიქცევით! ჩვენი ყურები ნუ გადაეჩვევიან სიმართლის გაგონებას, თვალები ნუ დაგვიბრმავდებიან, ენა ჩვენი ნუ დაიწყებს მონურს ფარისევლობას და პირფერობას! ნუ ვიქნებით კმაყოფილნი, ნეტარებით აღვსილნი, ბედნიერები მაშინ, როდესაც არ უნდა ვიყოთ კმაყოფილნი,—და როგორი ცუდიც უნდა იყოს ჩვენი მდგომარეობა, რაც უნდა შესაზარი სურათები დაგვანახვოს მან, რაც უნდა უმსგავსო ადამიანები წარმოშობოს, მაინც გვედირსება უკეთესი მომავალი, კაცობრიობა წინ მიდის და მისი უკან მობრუნება არავის არ შეუძლია; ჩვენც ამ კაცობრიობის წევრი ვართ! ჩვენც შეგვიძლია ვუთხრათ სამშობლო ქვეყანას: „ჩვენო კარგო ქვეყანა, რაზედ მოგიწყენია!.. აწმყო თუ არ გწყალობობს, მომავალი ჩვენია!..“

ამიტომ თუ ვგოდებ ხანდახან, თუ ნაღვლიანი იყო ჩემი სიტყვები „ორის ძმის დღიურებში“, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბნელი და მწარე მომავალი მეჩვენებოდეს წინ! არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, რაც ადამიანური ფიქრი და გრძნობა ასულდგმულებს ჩემს არსებას, არასოდეს ერთს წუთსაც არ დამიკარგავს იმისი რწმენა, ღრმა სტოიკური რწმენა, რომ ყველაფერი, რაიც დღეს ასე სწაგრავს ადამიანობას, შეიმუსრება და გაჰქრება!..

**

ამიტომ ნუ მიეცემა მწარე ფიქრებს და სასოწარკვეთილებას ის უცნობი, თუ ნაცნობი ჩემი კორესპონდენტი, რომელიც ასეთს სადვლიანს წერილს მწერს:

„ჰგოდებთ ცხოვრების უკუღმართობაზე და სწუხართ, რომ სიკვდილი არ ძალგიძთ. ყოველ სიტყვაში უტყუარად ისმის გულიდან ამონახეთქი კვნესა-ტირილი. ნეტავი თქვენ! ჩემი გული-კი თითქმის მთლად გამოფიტულია, მოწყლუნგებული, გათოშილი... თქვენ გრძნობთ სამშობლოს უბედურებას და დაჰკვნესით მას, მე-კი მხოლოდ ვხედავ მას და თითქმის გულგრილად ვეცქერი ... სასოება მიხრწნილს გულითადი ნატვრა მაინც გაფრთოვანებთ, მე-კი ნატვრა-იმედის ნუგეშსაც უკვე მოკლებული ვარ. თქვენ მოქმედობთ სიყვარულით გატაცებული, სიძულვილით აღვსილი, მოთმინებიდან გამოსული, მე-კი ვასრულებ ჩემს მოვალეობას მექანიკურად. გულით მოთქმა-გოდებაც ხომ იგივე ბრძოლაა, მე-კი აღარც ეს ბრძოლა შემწევს... მაშასადამე სიკვდილის შეძლებასაც ძალიან დაშორებული ვარ. ხომ ხედავთ, თურმე თქვენს მწუხარებაშიაც ბევრზე ბედნიერი ყოფილხართ. დაუფიქრდით ამას და მით მაინც ინუგეშეთ თავი“...

ჩემს „ორი ძმის დღიურებში“ დახატული გმირი, რომელსაც ეხება ზემოდ მოყვანილი წერილი, საზოგადო მოვლენაა, მისი თვისებები საერთოა ყველასთვის ჩვენთვის, რამდენად ყველანი შვილები ვართ დღევანდელის ვითარებისა. დღევანდელმა ცხოვრებამ წაგვართვა ნება, დაგვაუძლურა ხასიათით და ეს არის უდიდესი ჩვენი უბედურება, რომელიც ყველაფერზე მეტად უნდა გვახსოვდეს. ამან მოგვისპო ყოველი გაბედულობა, შეგვიქმნით მხდლები და იმდენად დავემონეთ სიცოცხლეს, რომ მისთვის ყველაფერს ვსწირავთ. სიკვდილი, რასაკვირველია, თავისთავად მადლი არაა. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს და არა მოკვდეს. ხოლო არ უნდა გვეშინოდეს სიკვდილის, რომ შევეძლოს სიცოცხლე. ამიტომ ვაქებ სიკვდილს, ამიტომ ვუწოდებ მას უმაღლეს ნიჭს, რადგან მის შემწეობით მოიპოვების მხოლოდ უდიდესი არსებობა. უსაგნოდ სიკვდილისადმი მისწრაფებაკი უნიჭობის მომასწავებელია!..

**

ერთსა და იმავე დროს მივიღე მეორე წერილიც, სულ სხვა შინაარსის და სხვა საგნის შესახებ. წერილს ქვეშ აწერია „სოფლელი გლეხი“, მაგრამ ეჭვი არაა, რომ იგი არ არის ნამდვილი გლეხი. ჩამომავლობით მეც გლეხი ვარ, გლეხის ოჯახში გაზრდილი, მაგრამ არ შემიძლია ჩემს თავს დღეს გლეხის სახელი ვუწოდო. არ შემიძლია ისიც, მეორეს მხრით, რომ არ თანავუგრძნო და არ დავეხმარო გლეხების სამართლიან მისწრაფებას. ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება, არც ერთი—მეორესაგან არ წარმოსდგება.

ჩემი „სოფლელის გლეხის“ წერილს ერთი ცალმხრივობა ეტყობა, რომელიც გარეშე მიდ- დენების ნაყოფი უფროა, ვიდრე სოფლელობის ან გლეხობისა. პატივცემული „სოფლელი გლეხი“ თავის წერილში მისაყვედურებს, რომ წელს ბევრს ვლაპარაკობ ქართული ენის დაჩაგვრისა და შევიწროების შესახებ. „ამდენს სტირით, მაგრამ ამით რამე შეეძინა ქართველობას? მეკითხება ავტორი და მერე თვითონვე მიპასუხებს: სრულებითაც არა. ამით შეიძლება გაახაროთ გული ჩვენი ეგოისტების და ცრუ ნაციონალ—პატრიოტების და მეტი არაფერი. თქვენ უნდა იყოთ მოწოდებული, რომ თქვენ სავგარაო ფელეტონს კითხულობდნენ ის უმრავლესი პირები, რომლებიც არიან დღეს მთელს ქვეყანაზედ სიმდიდრის შემქნელნი და უნდა გამოხატოთ მათი ცხოვრება და შრომა... ამით შეაყვარებთ მათ კითხვას. რასაკვირველია, რომ ყოველი კაცი მაშინ უფრო კითხულობს რაიმე ლიტერატურულ ნაწარმოებს, როცა ამ ნაწარმოებში ხედავს თავის თავს, ნაწარმოებში აწერილია მისი მდგომარეობა. ამისთანა წმინდა ლიტერატურა შეაყვარებს ხალხს ენას, იგი დადგება ნამდვილ განვითარების გზაზე და ბრწყინვალე მომავალიც აღარ ექნება შორს“.

აქ გამოთქმულია ერთი აზრი, რომელიც სრული ჭეშმარიტებაა, და რომლის წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ მეთქმის. მწერლობას იმდენად აქვს ფასი, რამდენად იგი მართალ აზრების და გრ-

ლობარში ქალაქის ეხლანდელი საყასპო, ალ საყასბოსათვის დანიშნული ადგილი ა ნავთის ჭები ნავთლუღში. უმრავლესომ სასურველად სცნო, იჯარით გაიცეს ნავთის ჭები.

◆ ტფილისის **სასულიერო სემინარიაში** ზამენები ამ თვის 30 თავდება. წელს სწავლას ამთავრებს თერთმეტი ქართველი.

◆ ქართ-კახეთის სამრევლო-საეკლესიო სკოლის საეპარქიო საბჭოს წევრმა იღ. ფერამ თხოვნა შეიტანა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

◆ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, შეიტანოს წლის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვაში 850 მან. ავადმყოფთათვის ეტლის შესაძენად. სთხოვს ტანილ იქნას ხარჯთ-აღრიცხვაში აგრეთვე ,800 მან. ქალაქის სამკურნალოთა საჭიროებისათვის.

◆ 14 აპრილს, შუღამის 11 საათზე, ვერის ბაღეთან სატიოზე ილიკო ტრამბაძის დუქანს ცეცხლი გაუჩნდა. ეს დუქანი განმარტოებითაა და ამ შემთხვევამ უშველა ცეცხლის მქრობელთა რაზმს და ცეცხლი ჩააქრო, თორემ ისეთი ქარი იდგა, რომ მთელი ქუჩა გადიწვოდა.

◆ ქალაქის დუქნების გამგე კომისიამ გუშინ-წინ შეიძინა 80 საკლავი საქონელი 6920 მანეთად.

◆ ახუთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის მასწავლებელი თ. ჰიჰინაძე გვთხოვს დავბეჭდოთ: მადლობას ვუცხადებ როგორც ჩემის, ისე ახუთის სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრით ბორჩალოს მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურეს ბლაღოჩინს ილია შუბლაძეს, რომელმაც ღარიბს მოსწავლეებს გამოუგზავნა შემდეგი ნივთები: ქართულისა და რუსულის წერის რვეულები—300-ცალი, სამი დუჟინი ყარანდაში, სამი დუჟინი კალმის ტარი, ერთი კოლოფი რკინის კალამი, „დედა-ენა“—10-ცალი, „Русск. Сл.“ 10-ცალი, Сборникъ ариѳметическихъ задачъ для церковно-приходскихъ школъ“ და „учебное руководство по Закону Божію“ 10 ცალი.

—

დღევანდელ №-თან ერთად ხელის მომწერთ ურიგდებათ **სურათებიან დამატების** მე-219 №, რომელშიაც მოთავსებულია: „შიან“ მოთხრობა სვ. ყიფიანისა; სურათები: რუსის კომპოზიტორი მ. ი. გლინკა და მისი ძეგლი; რუსი მეზღვაურნი გემ „პასკალ“-იდან ეთხოვებიან „ვარიაგ“-ს, ქანდაკება კ. გ. ყაზბეგისა; მანჯურიის ჰაობიან ადგილებში გზების გაყვანა იაპონიის საპიონერების მიერ; იაპონური სურათები ბრძოლის ველიდან (ექვსი სურათი) და სამი კარიკატურა.

## ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ ქალაქის აფთიაქის ახალს შენობაში გადმოტანის შემდეგ შემოსავალმა ერთი ოთხად იმატა: თუ ძველს შენობაში დღიური შემოსავალი საშუალო რიცხვით სამი თუმანიც არ იყო, ეხლა ეს შემოსავალი ას მანეთს აღემატება, შემდეგში კი უეჭველად კიდევ მოიმატებს. შემოსავლის ასე ერთბაშად გადიდების მიზეზი, მოხერხებულ ადგილის გარდა ისიცაა, რომ ქალაქის გამგეობა ღარიბებს ზოგს უფასოდ და ზოგს დაკლებულ ფასად აძლევს წამალს, რის გამო მდიდარი და ღარიბი ყველა ახალს აფთიაქს აწყდება, ასე რომ ქალაქს ამ აფთიაქიდან წლის განმავლობაში 15 ათასი მანეთი წმინდა მოგება დარჩება. ზოგიერთი ხმოსნები-კი, რაღაც მიზეზის გამო, 5000 მანეთად აპირებდნენ აფთიაქის იჯარით გაცემას!

◆ მ. ლალიძე უკვე შეუდგა ელექტრონულ განათების გამართვას და მალე კიდეც დაამთავრებს. როგორაც სჩანს, მაღაზიებისა და კერძო სახლების ელექტრონით განათების მსურველი ბევრი აღმოჩნდა. ბ-ნი ლალიძე ქალაქს უფასოდ უდგამს ოთხს ფარანს, რომელთაგან თითოს 1000 სანთლის ძალა ექნება. ამ ოთხ ფარანთაგან ერთი უნდა დაიდგას გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის მახლობლად; მეორე—ჰოსპიტლის ქუჩაზე, თეთრი ხიდის მახლობლად; მესამე—ბალახვანის ქუჩაზე, სასტუმროებთან; მეოთხეს-კი ჯერ ვერ უპოვნეს დასადგამი ადგილი: ყველგან უნდათ რომ დადგან და ერთი ფარანი მთელს ქალაქს არ ეყოფა. ჩემის აზრით, სამართლიანი იქმნება, მეოთხე ფარანი დაიდგას იმ გზა ჯვარედინზე, სადაც ორპირისა და გეგუთის ქუჩები ელობება ერთმანერთს.

◆ ქალაქის გამგეობამ დაიქირავა რამდენიმე კაცი ქუჩების მგველებად. ქუჩები ორს დღეში ერთხელ მაინც უნდა დაიგავოს. შეიძინეს აგრეთვე რამდენიმე ბოჭკა ქუჩების მოსარწყავად. ქუთაისის ქუჩებზე ეხლა საზოგადოთ გაცხარებული მუშაობაა; გზატკეცილის ნაცვლად არჩეულ რიყის ქვით კირწლავენ ქუჩებს.

## თეატრი

—

**მ. ი. გლინკას იუბილეი.** ამ დღეებში 100 წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც დაიბადა რუსეთის გამოჩენილი კომპოზიტორი მიხეილ ივანეს ძე გლინკა. მეტად დიდია ამ კომპოზიტორის ღვაწლი რუსულ მუსიკალურ ხელოვნებაში: იგი ითვლება—და სამართლიანადაც—რუსულ ოპერის მამამთავრად. შესანიშნავის ნიჭის პატრონი იყო; თუმცა მუსიკაში დიდი თეორეტიული განათლება არ მიუღია, მაინც თავის ბუნებრივის ნიჭის წყალობით მთელს დედა-მიწაზე განთქმულ კომპოზიტორად შეიქნა. იმის ოპერებიდან ცნობილია ორი „ჟიზნ ზა ცარია“ და „რუსლან ი ლიუდმილა“, რომელნიც აგერ 50 წელიწადზე მეტია რუსულს სცენას ამშვენებენ და საზღვარ-გარეთაც მოწონებულნი არიან; კარგად ცნობილია აგრეთვე გლინკას ბევრი რომანსი და სიმფონიები. შესანიშნავია გლინკას ცდა რუსულ ხალხურ სიმღერის გამშვენიერებისათვის; თავის პირველ ოპერას მან სარჩულად სწორედ ეს სიმღერა დაუდო და მით საძირკველი ჩაჰყარა ეროვნულ ხელოვნების განვითარებისათვის. სხვათა შორის, აღვნიშნავთ, რომ გლინკა 1823 წელს კავკასიაშიაც მოგზაურობდა, რომლის ბუნებამა და ხალხებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ახალგაზდა კომპოზიტორზე: ამიტომაც „რუსლან ი ლუდმილა“-ს ბევრგან ეტყობა აღმოსავლეთის მუსიკის ზედ გავლენა... 1857 წელს, თებერვალში, გლინკა გარდაიცვალა ბერლინში, სადაც დასახელოვნებლად იყო მაშინდელ გამოჩენილ თეორეტიკოსთან—დენთან. ამ რიგად არ დასცალდა ამ გამოჩენილს მემუსიკეს, თორემ, უეჭველია, კიდევ უფრო მეტ განძს დასტოვებდა. 1886 და 1892 წლებში რუსეთის თეატრებმა იდღესასწაულეს „ჟიზნ ზა ცარია“-სი და „რუსლან ი ლიუდმილა“-ს 50 წლის იუბილეი; ხვალ ხუთშაბათს, 20 მაისს, მას სახელს იხსენიებს მთელი რუსეთი.*)

—

მოვაგონებთ საზოგადოებას, რომ დღეს ქართულ თეატრში სცენის მოყვარულები იმეორებენ ალ. სუმბათაშვილის „ღალატს“.

—

17 მაისს, ქ. ქუთაისში გაიმართება კონცერტი ქალბ. შულგინისა (ბახუტაშვილის ასული), ბ. დარსკისა და სხვ. მონაწილეობით. ქალბ. შულგინისა ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც, დებიუტის შემდეგ, მიუღიათ საიმპერატორო სცენაზე.

## ღამის დეპეშები

### 15 მაისი

**ტოკიო.** („ვოლფის სააგ.“) იაპონიის არმიის სარდალი, რომელმაც იერიში მიიტანა ცინჩოუზე, იუწყება: „8 მაისს რუსებისაგან ატეხილ სროლას თვალყურს ვადევნებდით და შევიტყეთ, რომ იმათ დაედგათ გორაკ ნანშანზე, ცინჩოუს სამხრეთით, ოთხი 15 სანტიმეტრიანი და 10 9—15 სანტიმეტრიანი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი; ამას გარდა რუსებს აეშენებინათ ათი სიმაგრე, გორაკის ძირში მავთულის ღობე გაევლოთ და ნაღმები ჩაეწყოთ. 9 მაისს საერიშოდ დაწყობილი კოლონები წინ წავიდნენ. მეორე დღეს შევიტყეს, რომ რუსების მარჯვენა ფრთა ხუანშანგტაოსთანაა, ზღვისკენ პირ-მიქცეულ 8 მძიმე ზარბაზნით. ცზინჩოუში დაინახეს ქვეითა ჯარისა და არტილერიის პატარა რაზმები. 12 მაისს დილას იაპონელებმა იერიში მიიტანეს ცზინჩოუზე და ბრძოლაში ჩაითრიეს რუსების არტილერია ნანშანთან. 13 მაისს განთიადისას ჩვენმა ბატარეებმა დაუშინეს ზარბაზნები რუსების პოზიციებს; სროლამ 5 საათი გასტანა. ამავე დროს იაპონელთა სამი გემი ზარბაზნებს უშენდა ცზინჩოუს ბუხტიდან. რუსების საკანონირო გემი ზარბაზნებს უშენდა ჩვენ მარცხენა ფრთას ტალიენვანის ბუხტიდან. ექვსის ნახევარზე ჩვენ ავიღეთ იერიშით ცზინჩოუ და გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ დავიპყრეთ ნანშანი.

**ტოკიო.** („ვოლფის სააგ.“) ოფიციალურ დაწვრილებით მოხსენებაშიც ზინჩოუზე მოტანილ იერიშის შესახებ ნათქვამია, რომ რუსებმა რამდენიმე თხრილი და სანგრები გარს შემოავლეს პოზიციას ნანშანს და მედგარ წინააღმდეგობას უწევდენ იაპონელებს. ბევრი ცდის შემდეგ იაპონელებმა აიღეს იერიშით რუსებისაგან დაჭერილი პოზიციები და უკან დასწიეს რუსები ნანგუანლინისკენ. გამწვავებულმა ბრძოლამ აქ 16 საათი გასტანა. ადმირალი ტოგო იუწყება, რომ 4 საკანონირო გემისა და ნაღმიან პატარა ფლოტისაგან შემდგარი ესკადრა დანარჩენ იაპონიის ფლოტთან ერთად 13 მაისს ცზინჩოუს ბუხტიდან ზარბაზნებს ესროდა ნანშანს. სიმაგრეების მეციხოვნე ჯარმა უკან დაიწია. მოკლულია კაპიტანი ხოკაი და 9 კაცი. გემები მცირედ არიან დაზიანებულნი.

**ტოკიო.** კვანტუნის ნახევარ კუნძულზე მებრძოლ ჯარების უფროსი გენერალ ნოგია; ისინი შესდგებიან მე-5 და მე-11 დივიზიისა და დიდ მძიმე არტილერიისაგან. ამ რაზმს მე-3 არმიას უძახიან, გენერალ ნოძუს ჯარებს-კი, რომელნიც შესდგებიან მე-6, მე-7 და მე-9 დივიზიესისაგან, მეოთხე არმია დაერქვა.

**ტოკიო.** („რეიტერ. სააგ.“) ბოლონდელ მოხსენებიდან სჩანს, რომ გუშინ ნანშანზე მიტანილ იერიშის დროს დიდი სისხლის ღვრა მოხდა. რუსებს მრავალი სანგრები ჰქონდათ გაკეთებული ტერრასების მზგავსად, და გორაკის ძირში მავთულის ღობე შემოევლოთ. იაპონელებმა რამდენჯერმე უნაყოფოდ მიიტანეს იერიში, რადგან რუსებმა თოფების და ზარბაზნების საშინელი სროლა აუტეხეს იმათ, ბოლოს ნაშუადღევის სამ საათზე იაპონელებმა ისევ მიიტანეს იერიში და დაიპყრეს გორაკი. 8 საათი გავიდა, სანამ იაპონელები ყველა გორაკებს ჩაიგდებდნენ ხელში.

**ჩიკაგო.** („რეიტ. სააგ.“) იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ იაპონიის ფლოტმა სრულებით გარემოიცვა ლიაოდუნის ნახევარ კუნძულის სამხრეთ ნაწილი, რომელიც იწყება ბიძოვოდან სამხრეთით პულანდიანამდის. მთავრობა აცხადებს, რომ გარემოცვა ნამდვილად ასრულებული იქნება.

### 15 მაისი

**სოფია.** რეფორმების საქმეს დიდი საფრთხე მოელის ფულების უქონლობის გამო; მიურცშტეგის პროგრამმაში წინ-და-წინ აღნიშნულ თანხებისაგან არც ერთი არ არის.

**ბელგრადი.** გვირგვინის კურთხევის დღესასწაულები 16 და 18 აგვისტოს გაიმართება.

**პარიზი.** ადისაბებიდან იუწყებიან. მენელიკი ისე მძიმედ ავად გახდა, რომ ექიმებს იმედი გადაუწყდათო. შინაური ომის ეშინიათ.

**რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.**

რობების გამომხატველია, რამდენად ემსახურება სამართლეს. მწერლობაში, ხელოვნებაში, თეატრში უთუოდ უნდა ვპოულობდეთ იდეას, აზრს, რომელიც ჩვენ გვაფხიზლებს, გზას გვიჩვენებს. ყოველის ხელოვნების ნაწარმოების უმთავრესი ღირსება ჯერ ის იდეაა, რომელსაც ის გამოხატავს, მერე ის ფორმა, რომლითაც ეს იდეა არის დახატული, მწერლობა და ხელოვნება—საშუალება, იარაღია უკეთეს აზრების და გრძნობების გასავრცელებლად, ეს აზრებიც და გრძნობებიც უკეთეს ადამიანურ ცხოვრებისათვის.

ენაც, რასაკვირველია, საშუალებაა აზრის გამოსათქმელად. კარგი და პატიოსანი. მაგრამ წარმოვიდგინოთ ასეთი მდგომარეობა: გინდათ საუცხოვო აზრი გამოთქვათ, გადასცეთ სხვებს. აზრი ხომ რომელსამე ენაზე უნდა წარმოსთქვათ, იმ ენაზე, რომელიც ამ სხვებს ესმისთ. მაგრამ დახეთ თქვენს ბედს: ნებას არ გაძლევენ ამ ენაზე ლაპარაკისას. მაშინ ხომ პირველი საქმე თქვენთვის ის-კი არ იქნება, ესა თუ ის აზრი წარმოსთქვათ (რაიც სრულიად შეუძლებელიცაა გენოდ), არამედ ის, რომ მოითხოვოთ უფლება თქვენს ენაზე ლაპარაკისა და წერისა. მაშინ ის, რაც წინად საშუალებად, მეორე ხარისხოვან მოვლენად მიგაჩნდათ, შეიქნება თვითონ უმთავრესი საგანი და პირველ ხარისხოვანი მოვლენა...

ვსთხოვ „სოფლელს გლეხს“ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ გარემოებას, რომელიც [illegible] მარტივი და აშკარაა.

* *

გუშინ, შაბათს, 15 მაისს, შესრულდა ოც-და-ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც შესდგა პირველი კრება წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებისა. კრება მოხდა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში. კრებას დაესწრო 45 წევრი, რომელთაც განსვენებულმა დ. ყიფიანმა მიმართა შესაფერის სიტყვით და აუხსნა „საზოგადოების“ დაარსების საგანი და ისტორია. შემდეგ მიიღეს ახალი წევრები და აირჩიეს პირველი გამგეობა. ამ გამგეობის ორი წევრი ბბ. ი. ჭავჭავაძე და ნ. ცხვედაძე დღესაც გამგეობის წევრნი არიან; ორი წევრიც გადაიცვალა—დ. ყიფიანი და რ. ერისთავი. აღარ არის ამ ქვეყნად „საზოგადოების“ სხვა ზოგიერთი დამფუძნებელი წევრიც...

დღეს ვერ დაიწერება სავსებით „საზოგადოების“ ისტორია. მართალია, იგი არც რთულია, არც ტრაგიკული, არც არა-ჩვეულებრივი, არ არის მდიდარი შესანიშნავის ფაქტებით. მაგრამ საინტერესოა მეტად, როგორც მაჩვენებელი ჩვენის დღევანდელის ვითარებისა სულ უბრალო საქმე იყო მის მოღვაწეობის საგანი—წერა-კითხვის გავრცელება ხალხში, მაგრამ ამ საგნის მისაღწევადაც ათასი დაბრკოლება ელობებოდა წინ, არ აძლევდა საშუალებას გასაძრევად და სამოქმედოდ. ის, რაც თავის თავად უბრალოა და სასურველი, შეიქნა ძნელ და მძიმე საქმედ...

მიუხედავად ამ ცუდის გარემო პირობებისა, „საზოგადოება“ მაინც მოქმედობდა, ასე თუ ისე იბრძოდა, მიდიოდა წინ, შექმნა სკოლები, ბიბლიოთეკები, ტრადიციები, სახელი, დაუვიწყარი სახელი, საძირკველი დაუდვა ქართულს მუზეუმს, შეიქნა ქართულ ეროვნულ თავშესაფარად. როგორიც უნდა იყოს მისი მომავალი, მისი წარსული მუდამ სახსოვარი იქნება!

მაგრამ სრულის იმედით შევხედოთ მის მომავალს და ვისურვოთ, რომ მისი შემდეგი იუბილე ყოფილიყოს უკეთესი... უფრო სადღესასწაულო!..

**სიტყვა.**

---

*) სურათი და ძეგლი იხ. დღევანდელ სურათებიან დამატებაში.

განცხადებანი

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს, რომ ამ 1904 წლის მაისში მოწაფეებს ვერ მიიღებენ სასწავლებლის ვერც ერთს კლასში **გარდა მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებისა**; ამ განყოფილებაში მიიღებენ **უეგზამენოდ** ოთხმოც მოწაფეს 7—9 წლისას. აგვისტოში მიღების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

საკომერციო სასწავლებლის კურსდამთავრებულთ შემდეგი უფლებანი მიენიჭებათ:

1) პირად საპატიო მოქალაქის წოდება და აგრეთვე კომმერციის კანდიდატის წოდება (ეს უკანასკნელი მიენიჭება იმათ, ვინც კურსს ჯილდოთი გაათავებს);
2) სამხედრო ბეგრის აღსრულების საქმეში—პირველ ხარისხის უპირატესობა;
3) უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებსა და სახელმწიფო სამსახურში შესვლისათვის—იგივე უფლებანი, რომელთაც ანიჭებს მოწაფეთ რეალური სასწავლებელი.

ვისაც ჰსურს მოსამზადებელ კლასსის უმცროს განყოფილებაში ბავშის მიბარება, თხოვნა უნდა მიართვას დირექტორს და თან უნდა წარმოადგინოს სასწავლებლის კანცელარიაში მეტრიკული მოწმობა, ჩამომავლობის მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. თხოვნა და მოწმობები კანცელარიაში ყოველდღე მიიღება 1-ლ მაისიდან დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე. (2—199—2)

შპალერის დეპო
პ. ლანკოსი
გოლოვინის პროსპექტი, შირიმანოვის სახლი.

ყოველკვირა იღებს **შპალერებს**, თითო ნაჭერი ღირს 10 კაპეიკიდან და უფრო ძვირად; მასთან ერთად ყოველგვარი დასამშვენებელი მოწყობილება: ბორდიური, ბაგეტი, რაზასი და სხვა. (№ 43 3—3)

ხვედურეთის სამკურნალო წყლები
სახელწოდებით
აბანო.

ავადმყოფთა მიღება დაიწყება 20 მაისიდან. ახლად გადაკეთებულია აბანოსთან დაწესებული ნომრები მოაგარაკეთათვის. მიღებულია ღონისძიებანი, რომ მოაგარაკეებმა რამდენად შესაძლებელია იაფად იყიდონ ადგილობრივ სანოვაგე და სხვა მოწყობილობაც იქონიონ. დღეში რამდენჯერმე ივლის ლინეიკა სადგურ ქარელიდან ხვედურეთის აბანომდე. მანძილი 4 ვერსს არ აღემატება. (3—194—2)

ქირავდება სააგარაკოდ სამი ოთახი

სოფ. ზემოხვედურეთში, გოგირდის აბანოების მახლობლად, სადგურ ქარელის (გორის მაზრა) 4 ვერსტის სიშორეზე. პირობების გაგება შეიძლება: მეორე თუმანოვის ქუჩა, № 19. ქ-ნ მეშჩერსკის ბინაზე. (2—2)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო [illegible] ახლოს. (ў.—176—18)

ეძებს ადგილს

წინამძღვარიანთ-კარის სკოლაში კურს დამთავრებული მებაღის, მევენახის და ღვინის დამყენებლისას, მე-9 ნაწ. კრასნოგორსკის ქუჩა, სახლი პორფიროვისა, № 5. (4—198—2)

## „ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია

ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.

მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები ეგზავნებათ ფას დადებითაც.

იყიდება დასურათებული **ღია ბარათები** ჩვენ **მწერალთა** და **მსახიობთა**. ფასი თითო 5 კაპ.
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(50—18). წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე**.

## ფირფიტები აპპარატები

უმაღლესის ხარისხისა

ყველას აკრავს ფაბრიკის მარკა „მწერალი ამური“.

კავკასიის უმთავრესი სააგენტო

## სააქციონერო საზოგადოებისა გრამმოფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპ., აბიანცის სახლი № 17.



### კონკურენციის გარეშე!!

გრამმოფონი **„ტონარმ“**

მემბრანით **„ექსიბიშენ“**

მემბრანის „ექსიბიშენ“**-ის მეოხებით** გრამმოფონი-**ტონარმ** იმდენად გაუმჯობესდა, **რომ ამ სახის** აპპარატები

**მთელს!! დედამიწაზე საუკეთესოა!!**

უმთავრესი ღირსებანი „ტონარმისა“ „ექსიბიშენის“ მემბრინით შემდეგია:

**ხმის გარკვევით გადაცემა!! თითქმის სრული უხმაურობა!! ხმის სიმშვენიერე!!**

გრამმოფონ **„ტონარმ“-ს** „ექსიბიშენის“ მემბრინით ოთხი ტიპი აქვს

### 100 მანეთიდან 200-მდე.

მოყვარულთა განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ჩვენს ფირფიტებზე

### „გიგანტ“,

რომელნიც ძალიან მოსწონთ. ამ ფირფიტების დიამეტრი 12 დიუიმია, რაც ნებას იძლევა ამ ფირფიტაზე მოქცეულ იქმნას მთელი არიები, ანსამბლები, საცეკვაო ხმები და სხვა **შეუმოკლებლად!!!**

ამ ფირფიტების დიდ დიამეტრის გამო, ჩვენმა ინჟენერებმა შესაძლოდ დაინახეს ხმის გაძლიერება, გამშვენიერება, გარკვევით გადაცემა; ამასთანავე დაცულია **ადამიანის ხმის ბუნებრივი ტემბრი**. ერთის სიტყვით ფირფიტა **„გიგანტი“** ადამიანის ხმას სავსებით გადასცემს, ასე რომ ცოცხალი მომღერალი გეგონება.

დიდი რეპერტუარი—15 ათასი დამზადებული ნომერი სხვა და სხვა ჟანრისა; ამათ ვუმატებთ ყოველ ორ კვირაში ახალ სერიების გამოცემათ; ამასთან **„გრამმოფონის“** საზოგადოება ჭეიდის მხოლოდ სრულიად უნაკლულო ფირფიტებს ტეხნიკისა და მუსიკის მხრით.

ტეხნიკური სიკარგე ჩვენის აპპარატებისა და შესანიშნავის ხმის ფირფიტისა, რომელნიც გადაცემენ მსოფლიოს გამოჩენილ მომღერალთა ხმებს, მთელს ჩვენს წარმოებას აყენებენ

◆ კონკურენციის გარეშე ◆

კატალოგები მსურველთ უფასოდ ეგზავნება. ეხლახან გამოვიდა და იყიდება **ლიბრეტოების მთელი კრებული** გრამმოფონებისათვის. **რუსული რეპერტუარი**. ეს ლიბრეტო შეიცავს თითქმის 600 ნომერს ოპერისა და ოპერეტის **არიებისას**, **რომანსებისას**, სიმღერებისას, ანსამბლებისას, **ხოროებისას**, კუპლეტებისას და **ამბებისას**. ამ **კრებულის** მეოხებით ყოველს მსმენელს შეეძლია გაიცნოს ხმები, რომელთაც გრამმოფონი ასრულებს. ფასი 1 მან. 50 კაპ. (20—5)

!!!სუფთად, ლამაზად და მოხდენილად!!!

ახალი ამბავი! **მანდილოსნებისათვის** ახალი ამბავი!

**სუნნელოვანი ჰიგიენური ბალიშები.**

გთხოვთ ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ **ალექსანდრე მეიერის** ფირმას.

უმთავრესი გაყიდვა: პეტერბურგს მეიერ, ნადეჟდინსკაია, 11. მოსკოვში—ძმ. ჰორნ, მალაია ლუბიანკა, ფრანგთა ეკკლეს. სახლი. (პ. 1—1)

## გენერალნოე ობშჩესტვო

(Генеральное общество)

**სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა**

აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარანტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.00
ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით
გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელუხლებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უკილობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმას მიხედვით, თუ რამდენი ქნება დაზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონ ათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის მოლავათს სავადო პრემიის დასასხდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 2 ). **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისში, გოლოვინის პრ., ოჭოევის სახლი, ტელეფონი № 429.
**აგენტები** არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—11)

## ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო

ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.

### გადაჭრილი ფასებია დანიშნული.

ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.

(60—189—12) პატივისცემით **ბ. გ. ბერიევ**

## სამკურნალო ვანები და წყალსასხური

**წყალსასხური** ცხელი და ცივი. ტემპერატურა ყოველნაირი და 4 ატმოსფერის სიმძიმემდე. **წყალსასხურება შოტლანდიური, შარკოსებური** და სხვა გვარი. სავსე ვანები, ნახევარ ვანები; ვანები ჩასაჯდომი და ფეხთათვის სასურველ გრადუსისა. ჰაერ გამომშრალი და **ორთქლის ვანები** სხვა-და-სხვა ექსტრაქტებისაგან. წყლის გადავლება, დასველება და შეხვევა გერმანიაში ცნობილ ჰიდრაპატის **კნეიპისა** და სხვათა სისტემისამებრ.

ეს სისტემა მე შევისწავლე თვით კნეიპისაგან და მოწმობაც მაქვს იმისაგან მიღებული. ვანები და სხურება არჩენს **ქარებს, მოშლილ ნერვებს, ქსენას, მუცლის შეკვრას, სისუსტეს, თავის ტკივილებს** და სხვას. მოწყობილება საუკეთესოა და თვალ-ყურსაც თვითონ ვადევნებ. მოთავსებულია სახაზინო პალატის გვერდით; შესავალი ხაზინის ქუჩიდან. **გ. ე. ცოვიანოვი.** (10—164—9)



## ფეხსაცმელი

### ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

## ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

**სავაჭრო სახლის**

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—6.—27)

სხვა-და-სხვა ყვავილის

**საუკეთესო**

## ო-დე-კოლონი

**№ 4711**

რეინის თაიგულები

უმჯობესი, ხანგრძლივი და იაფი დუხები ცხვირსახოცებისთვის

**ყოველგვარ ყვავილის სუნნელებისა.**

(მც. 10—10)



## ევალდ იანკოვსკი

**კაფელის** ფეჩები, ლ

მელები.

**სამზარეულოს პლიტები** რკინისა და კაფელისა.

**ფაიანსის** ნაჭრები კედ

სათვის. ფასები 25 მანეთ

გამართვა აგურის ფე

ბისა და პლიტებისა.

საწყობი: ტფილისი, მიხეილის ქ. № 157.

(30—7) **ტელეფონი № 281.**

Доз. ценз. Тифлисъ 15 Мая 1904 г. ელექტრონის სტამბა. წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва.)